

ოქმი № 6

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 23 ივლისის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ

საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი, რ. ბანცური, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ს. სანებლიძე, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე

სათათბირო ხმის უფლებით: ნ. ფარცვანია (ინსტიტუტის დირექტორი).

საბჭოს მდივანი ლ. გოგოლაური

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ინსტიტუტის ბიუჯეტის დამტკიცება.
2. “ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომების” მთავარი რედაქტორის ვ. კოკილაშვილის მოხსენება.
3. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგის თანამდებობაზე კოკურსის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეითნხმა ინსტიტუტის ახალი ბიუჯეტი და დასამტკიცებლად დააბრუნა ინსტიტუტსი.

საბჭომ დაამტკიცა ახალი ბიუჯეტი.

2. მოისმინეს “ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომების” მთავარი რედაქტორის ვ. კოკილაშვილის მოხსენება ჟურნალის საქმიანობის შესახებ.

ვ. კოკილაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ჟურნალის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა. აღინიშნა, რომ 1992 წლიდან ჟურნალს გააჩნია ელექტრონული ვერსია, ჩართულია საერთაშორისო გაცვლაში. ვ. კოკილაშვილმა დააყენა საკითხი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის გადახალისების საჭიროების შესახებ.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თ. ქადეიშვილმა, მ. მანიამ, მ. ჯიბლაძემ, მ. ელიაშვილმა. აღინიშნა, რომ ჟურნალი წარმოადგენს უძველეს ქართულ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას, რომელმაც ამჟამად საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა. ნ. ფარცვანიამ აღნიშნა, რომ ინსტიტუტი გაუწევს ჟურნალს მატერიალურ დახმარებას.

3. მოისმინეს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგის თანამდებობაზე კოკურსის შესახებ. საბჭომ შექმნა კონკურსის სამდივნო ოთარ ჭკადუას და ოთარ ჯოხაძის შემადგენლობით.

4. მოისმინეს ნ. ფარცვანიას წინადადებები საზოგადოებრივ საწყისებზე ინსტიტუტს თანამშრომლებისადმი წასაყენებელი პირობების შესახებ.

მიზანშეწონილად ჩაითვალა შემდეგი პირობები:

იმ კანდიდატთათვის, რომლებიც ინსტიტუტის საგრანტო პროექტებში მონაწილეობენ 1 გამოქვეყნებული ნაშრომი,

იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც დაამთავრეს მაგისტრატურა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში 1 გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომი,

ხოლო სხვა კანდიდატთათვის 3 სამეცნიერო ნაშრომი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში,

იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში ან ჩვენი ინსტიტუტის გამოცემებში.

გარდა ამისა ნ. ფარცვანიამ დააყენა საკითხი სამეცნიერო მივლინებებში მყოფი თანამშრომლების შრომის ანაზღაურების შესახებ. არსებული პრაქტიკა მოითხოვს მოწესრიგებას კანონმდებლობის შესაბამისად. დირექტორმა განაცხადა, რომ სათანადო ცვლილებების პროექტს ახლო მომავალში წარმოადგენს.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ინსტიტუტი მომავალი წლისათვის სამინისტროს წარუდგენ ინსტიტუტის გაორმაგებული ბიუჯეტის პროექტს.

საბჭოს თავმჯდომარე

თორნიკე ქაღეიშვილი

საბჭოს მდივანი

ლ. გოგოლაური